სასოფლო გაზეთი

გაზეთის ფასი:

გაგზავნილ თფილისში	გაგზავნილთ:
ერთ კარგად ადგილებში:	
ერთი წლისა — 4 ვ.	— 3 ვ. —
ნახევარი წლისა — 3 —	— 2 ვ. —
სამი თვისა — 1 ვ.	— 1 ვ. —

მესუთე წელიწადი

გამოდის თვეში ორჯერ

ხელის-მოწერა მიიღება:

თფილისს «სასოფლო გაზეთის» რედაქციის კანტორაში, ბ. წერეთლის და ამს. (დუბლირის) ტატაში, ხერგეევის ქუჩაზე, ხატისაკენ ხასლში. თფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: *Въ Тифлисъ, въ контору редакціи «СЕЛЬСКОЙ ГАЗЕТЫ», при типографіи Г. Церетели и ко (Дубелира-*

№ 16 შაბათი | ٧ | 30 აგვისტო, 1872 წ.

შინაარსი:

მთავრობის განკარგულებანი ცეცხლის ბრობის შესახებ: — კანონი დაცვისათვის ცეცხ-ისაგან კერძო ტყეებისა. — სტატიები ტყის და-ულებისა. ორა ოფიციალური ნაწილი: ხალხ-ერო ნაწილი: — კვაზეის მთა. ხალხთველო. ბრაების კორრესპანდენტები: თუქურმეშ. — ოსანის მაზრა. — ხალხთაღლის განმარტება ომაბეგელი ხასამართლო). კერძოობითი გან-ებები.

ПРАВИЛА

ОТНОСЯЩІЯСЯ ДО ОХРАНЕНІЯ ОТЪ ПОЖАРА ЧАСТНЫХЪ ЛѢСОВЪ.

ПРИЛОЖЕНІЯ,

Къ продолженію 1868 г. свода законовъ т. VIII, 1 ч. уст. лѣсн.

ПРИЛОЖЕНІЕ КЪ СТ. 1121 (ДОПОЛ.)

ОБЪ ОХРАНЕНІИ ЧАСТНЫХЪ ЛѢСОВЪ ОТЪ ПОЖАРОВЪ.

9. Лѣсной сторожъ и всякое другое лицо, заметивъ пожаръ въ лѣсу, обязаны извѣстить о немъ ближайшее селеніе, для немедленнаго подачи помощи и вмѣстѣ съ тѣмъ дать знать о немъ тотъ часъ же или владѣльцу лѣса, или его управляющему, или же мѣстной уѣздной, либо сельской Полиціи, смотря потому, кто ближе къ мѣсту пожара.

10. Для тушенія пожара созываются поселяне ближайшихъ селеній, расположенныхъ отъ мѣста пожара на десяти-верстномъ растояніи; если же ихъ не достаточно для совершеннаго потушенія огня, то поселяне и другихъ селеній, не далѣе однакожъ пятнадцати верстъ расположенныхъ.

11. Первоначальный призывъ на пожаръ рабочихъ дѣлается чрезъ мѣстныхъ старостъ и сотскихъ лѣсовладѣльцемъ или его управляющимъ, которые и распоряжаются тушеніемъ до прибытія Полиціи.

12. По первому призыву крестьяне должны являться на мѣсто пожара съ лопатами, топорами и другими, имѣющимися у нихъ для тушенія мѣстныхъ пожаровъ орудіями и дѣйствовать тамъ до потушенія огня.

13. Если пожаръ силенъ и не можетъ быть потушенъ въ одинъ день, то соображаясь съ силой огня, густотой мѣстнаго населенія и рабочей порой, должны быть назначаемы смѣнные рабочіе, которые, въ случаѣ надобности требуются и изъ болѣе отдаленыхъ селеній, расположенныхъ однако отъ пожара не далѣе двадцати пяти верстнаго растоянія.

14. Мѣстная Полиція, какъ только будетъ извѣщена о лѣсномъ пожарѣ, отправляется тотчасъ же на мѣсто пожара и лично распоряжается его тушеніемъ. Чины полиціи могутъ оставить пожарище только тогда, когда удостовѣрятся, что пожаръ прекратился и нельзя ожидать возобновленія онаго. Для предупрежденія сего, они могутъ учреждать на нѣкоторое время особый караулъ изъ мѣстныхъ жителей.

15. Лицамъ, призываемымъ для тушенія пожара далѣе пятнадцати верстъ отъ мѣста ихъ жительства, выдается, владѣльцемъ лѣса вознагражденіе за каждый день отлучки ихъ изъ мѣстожительства въ размѣрѣ, опредѣляемомъ ежегодно Губернскимъ Земскимъ собраніемъ, а въ тѣхъ губерніяхъ, гдѣ положеніе о земскихъ учрежденіяхъ не имѣетъ дѣйствія, Губернскимъ по крестьянскимъ дѣламъ присутствіемъ.

16. Для устраненія причинъ лѣсныхъ пожаровъ къ частнымъ лѣсамъ примѣняются правила, постановленныя по этому предмету для лѣсовъ казенныхъ въ статьяхъ 585, 595 сего устава и въ статьяхъ 306-316 устава о благоустройствѣ въ казенныхъ селеніяхъ.

17. О каждомъ нарушеніи указанныхъ въ предыдущей статьѣ правилъ, хотя бы при семъ и не произошло пожара, лѣсная стража обязана доводить до свѣдѣнія лѣсовладѣльца или его управляющаго, донося объ этомъ, въ тоже время, Полиціи, которая принимаетъ немедленно мѣры, чрезъ посредство сельскаго Начальства къ прекращенію нарушенія.

ცეცხლის ქრობის შესახებ

კანონი დაცვისათვის ცეცხლისაგან კერძო ტყეებისა.

დამატება 1868 წლის კანონების გაგრძელებაზე, ტომი VIII, ნაწილი 1, დებულება ტყისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამატება 1421 მუხლისა.

დაცვისათვის კერძო ტყეებისა ცეცხლისაგან.

2. ტყის მცველი (სტოროჟი) და ყოველი სხვა პირი, როდესაც შენიშნავენ ტყეში ცეცხლსა, ვალდებულნი არიან შეატყობინონ მახლობელ სოფელსა, რომ დაუყოვნებელად დაეხმარონ და ამასთანვე აცოდინონ მაშინვე, ან ტყის პატრონს, ან მის მოურავსა, ან ადგილობითს მაზრასა, ანუ სოფლის პოლიციასა, რომელიც მათგანი არის იმ ადგილის ახლოს, საცა ცეცხლია.

10. ცეცხლის გასაქრობად უნდა იყვნენ დაბარებულნი გლეხნი მახლობელ სოფლებისა, რომელნიცა დგანან ათი ვერსის მანძილზე იმ ადგილიდამ, სადაც ცეცხლია გაჩენილი, და თუ ისინი არ იკმარონ ცეცხლის სრულიად გაქრობისათვის, მაშინ უნდა დაიბარონ ის გლეხებიცა, რომელნიც თუთხმეტი ვერსის სიშორეზე დგანან.

11. ყველაზე პირველად უნდა მოიწვიოს მუშები ცეცხლის საქრობათ ადგილობრივმა სტაროსტამ და ასის თავმა ტყის პატრონის, ანუ მისი მოურავის განკარგულებით, რომელთაც უნდა იზრუნონ გაქრობისათვის, სანამ პოლიცია მოვიდოდეს.

12 პირველსაე დაძახებაზედ, გლეხნი ვალდებულნი არიან გამოცხადდნენ იქ, საცა ცეცხლია, ნიჩბებით, ცულებით და სხვა იარაღით, რაიცა ტყის ცეცხლის გაქრობისათვის ჰქონდეთდა იმოქმედონ, სანამდის გაჰქრებოდეს ცეცხლი.

13. თუ ცეცხლი (პაჟარი) ძლიერია და არ შეიძლება მისი გაქრობა ერთ დღეში, მაშინ ცეცხლის სიძლიერის მიხედვით, ან ადგილობრივ მცხოვრებლების ხშირისა და მუშაობის დროებაზედ მიხედვით, უნდა დაინიშნოს მუშა გამოცვლით, რომელნიც, საჭიროების კვალად, უნდა მოთხოვილ იყვნენ განშორებული სოფლებიდამაცა, მაგრამ ისინი ოცდა ხუთს ვერსზე, შორს არ უნდა იდგნენ.

14 ადგილობრივი პოლიცია, რაკი აცოდინებს ტყეში ცეცხლის გაჩენასა, მაშინვე წავა იმ ადგილს და თვით ახდენს განკარგულებასა გაქრობისათვის. პოლიციის მოსამსახურეებს შეუძლიანთ დაანებონ თავი მაშინ, როდესაც დაარწმუნებენ, რომ ცეცხლი დამქრალა და მეორეთ აღარ მოეკიდება. ამ ამბის შესატყობად, იმათ შეუძლიანთ, რამდენსამე ხანს, დაიწესონ იქ, ცალკე ყარაული იქვე მცხოვრებთაგან.

15. რომელნიც იქნებიან ცეცხლის გაქრობისათვის დაძახებულნი ოხუთმეტი ვერსის სიშორეზედ თავის სახლიდგან, იმათ ტყის პატრონმა უნდა მისცეს სამუშაო ყოველ დღე, რამდენი დღეც იქნება განშორებული თავისი ბინიდამ, იმ ზომით რამდენსაც დაიწესებენ ყოველ წლივ გუბერნსკი საერო კრება და სადაც არ არის დებულება საერო კრებისა, იქ გუბერნიის საგლეხო სასამართლო.

16. ტყის ცეცხლის მოკიდების მიზეზების მოსაცილებლათ უნდა იხმარონ კერძო ტყეებზე ის კანონები, რომელნიც არიან დაწესებულნი ამ საგანზედ სახაზინო ტყეებისათვის 585, 595 მუხლებში ამავე დებულებისა და 306—316 მუხლებში დებულებისა სახაზინო სოფლების კეთილ მოშენებისათვის.

17 ზემო მუხლში ნაჩვენები კანონების, დარღვევისათვის, გინდ ამასთან არც კი მოხდეს ცეცხლის მოკიდება, ტყის მცველნი ყოველთვის ვალდებულნი არიან შეატყობინონ ტყის პატრონს ანუ მის მოურავსა, და მოახსენონ მაშინვე პოლიციასა, რომელიც დაუყოვნებლივ მოიხმარს თავის ღონეს სასოფლო მმართველობის შუამავლობით არავინ მიუშვას ზემოხსენებული წესდების დასარღვევათ.

СТАТЬИ ИЗЪ УСТАВА ЛѢСНАГО Т. XII Ч. 1.

О ТУШЕНІИ ПОЖАРОВЪ ВНѢ ЖИЛИЩЪ.

83. Если произойдетъ въ лѣсу пожаръ, то пожарный Староста, которому та лѣсная дача поручена въ присмотръ, обязанъ дать о томъ знать по Начальству, и немедленно, для тушенія пожара, сзывать поселянъ всѣхъ смежныхъ деревень, въ десяти-верстномъ разстояніи находящихся, а гдѣ населенія мало то и изъ селеній на двадцать пять верстъ отъ мѣста пожара отстоящихъ.

84. Крестьяне по первому призыву должны явиться съ заступами, метлами, ведрами и тому подобными огнегасительными орудіями на мѣсто пожара, и остаться тамъ для тушенія онаго до тѣхъ поръ, пока пожаръ не окончится.

85. Къ потушенію лѣснаго пожара должна содѣйствовать и лѣсная стража.

86. Лѣсничій и Земскій Судъ извѣстясь о пожарѣ, произшедшемъ въ лѣсной дачѣ, поспѣшаютъ на мѣсто онаго и принимаютъ всѣ возможныя мѣры къ тушенію пожара, заставляя обывателей окапывать рвами или каналами мѣста онаго, дабы огонь далѣе не распространялся.

87. Губернскій лѣсничій, извѣстясь о лѣсномъ пожарѣ, обязанъ и самъ, смотря по обстоятельствамъ, ѣхать на мѣсто и споспѣшествовать къ дѣятельнѣйшему пресѣченію дальнѣйшаго пожара.

Примѣчаніе. Нѣкоторыя особыя правила о тушеніи пожаровъ въ селеніяхъ казенныхъ подробно изложены въ Сельскомъ Полицейскомъ уставѣ Государственныхъ крестьянъ (см. уст. казен. сел.)

სტატიები ტყის დებულებისა ტომი XII. ნაწილი 1.

ცეცხლის გაქრობისათვის ბინის გარეთ.

83. თუ ტყეში ცეცხლი გაჩნდა, პაჟარნი სტაროსტას რომ ამ ტყის სიმგრგვლეზე ზედამხედველობა აქვს ჩაბარებული, ვალდებულია აცნობოს მთავრობასა და ცეცხლის გასაქრობად დაუყოვნებელივ შეჰყაროს ახლო მდებარე სოფლების გლეხნი, ათ ვერსზედ მდგომარენი, და სადაც ოცდა ხუთ ვერსზედ.

84. პირველსაე დაძახებაზედ გლეხნი უნდა გამოცხადდნენ ბარებით, ცოცხებით, წყლის ჭურჭლით და სხვა ამისთანა ცეცლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქრობი იარაღით საცა ცეცხლია და იქ დარჩნენ გასაქრობად, სანამ ცეცხლი დაქრიბოდეს.

85. ტყეში ცეცხლის გაქრობაში უნდა დეხმარნენ ტყის მცველნიცა.

86. ლესნიჩი და ზემსკის სუდი, შეიტყობენ რა ცეცხლის გაჩენასა რომელსამე ტყის ნაწილში, მსწრაფლად წავლენ იმ ადგილს და მიიღებენ ყოველ ღონეს გასაქრობად, ძალას დაატანენ სოფლელებს, რომ საცა ცეცხლია, იმ ადგილს გარშემო მოუთხარონ თხრილი, ანუ რუები, რომ ცეცხლი არ გადიდდეს შორსა.

87. გუბერნიის ლესნიჩი, როცა შეიტყობს ცეცხლის გაჩენას, ეალდებულია თვითონაც გარემოებისმიხედვით წავიდეს იმ ადგილას და შეეწიოს ცეცხლის საჩქაროთ გაქრობას.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. რამდენიმე სხვა ცალკე კანონები ცეცხლის გაქრობისათვის, სახაზინო სოფლებში, დაწერილებით აღწერილია სასოფლო პოლიციის დებულებაში სახელმწიფო გლეხთათვის. (ნახე დებულება სახაზინო სოფლებისა).

სამეცნიერო ნაწილი

ვეზუვის მთა

ქვემო იტალიაში ზღვის პირათ არის ერთი მშვენიერი ქალაქი სახელად ნეაპოლი. ნეაპოლზე ბევრი ქება არის ნათქვამი. ერთი ნეაპოლის მცხოვრები ამბობს: «ნეაპოლი თუ კაცს უნახავს, მერე რომ მოკვდეს დასანანი არ იქნებაო.» მეორე წარჩინებულმა გერმანიის მწერალმა ასე თქვა: «ვისაც ნეაპოლი უნახავს, ის ვეღარ იტყვის სრულებით უბედური ვარო.»

მართლაც და ნეაპოლის გარეშემო ადგილების მდებარეობა მშვენიერი არის. ზღვის ნაპირიდამ ირგვლივ კიბესავით ადიან დიდი უზარმაზარი შენობები. მთელი ქალაქი გარეთ უბნებიანა ერთ უზარ-მაზარ ღობესავით შემორტყმული აქვს ზღვის გუბესა. ამათ მერმე, მაღლობ ალაგებზე არის აშენებული მშვენიერი საზაფხულო სახლები, იმათ გარშემო არიან გაშენებულნი მშვენიერი ბაღები, რომელნიც მთელი წელიწადი მწვანით არიან მოსილნი. ერთ ალაგას დაინახავ სხვა და სხვა ნაირ ლელწმის ხეებს, მეორეგან მშვენიერს ალვის ხეებს. იტალიის სამხრეთის ნაწილში არის ბევრი ცხელი ქვეყნის მცენარეები. აქ მუშფდება მშვენიერი ფორთოხლები და ლიმონები. ამ მშვენიერს სურათს რომ დიდებული ვეზუვის მთა დაუმატოთ, იქნება მაშინ წარმოგიდგესთ თვალწინ ცოტა-ოდნათ ეს ქვეყანა.

ვეზუვი მდებარეობს ნეაპოლის ზღვის უბის სიახლოვეს, ნეაპოლის სამხრეთ-აღმოსავლეთით. ევროპის ხმელეთზე ერთი ცეცხლ მქონეა მთაა, ოოლკანი, რომელიც შესდგება ორი გორისაგან. ერთ იმათგანს ჰქვია მონტე-სომმა ანუ სომმის მთა. ეს გორა არის ერთ ვერსზე მეტი სიმაღლე. ამ მთის ნ.ხევარი დაქცეულა და იმის მაგივრად არის ახალი გორა ვეზუვი, რომელიც არის მონტე-სომმაზე უმაღლესი 11 საჟენით. მგზავრები ვეზუვის სანახავათ მიდიან მონტე-სომაზე, იქიდამ ჩადიან მინდორზე, რომელიც მდებარეობს ვეზუვის გარშემო. ამ მინდორს ცხენის მინდორს ეძახიან იმიტომ, რომ აქ სტოვიენ ცხენებს და ვეზუვის ზევით მიდიან ფეხით. ვეზუვის ყელიდამ მუდამ ამოდის კომლი და ისერის ფერფლს და ნაცარს. როდესაც უფრო ღონივრად ამოიქუხებს, მაშინ ლავა ამოტეხს ოოლკანის ყელის ნაწილს და ჩამოდის ცხენის მინდორზე და იქიდამ ზღვაში. ვეზუვის მთა შემდგარია წვრილი კლდის ნატეხებისა, პემზისა და ფერფლისაგან, რომელნიც გალხვალს მიწას, ანუ ლავას შეუკრავს ერთად. სამოც-და-ცხრამეტს წელს ქრისტეს დაბადებამდის რომაელები ვეზუვს სთველიდენ დაქრობილ ოოლკანათ, იმიტომ რომ გარშემო იყო ამოქუხისაგან დარჩენილი ნიშნები, მაგრამ თითონ ამოქუხაზე ძველათაც არაფერი იყო გაგონილი. სტრაბონის აწერილობით იმ დროში ვეზუვი ყოფილა სულ სხვანაირი. ვინემ ახლა. ამ გორაზე დიდი ოოლკანის ყელი ძირიდამ იყო დაფარებული გაცვებული ლ.ვით. ოოლკანის ყელში იზდებოდა ბალახი, იყენენ ხეები და მგონი სახლებიც უნდა ყოფილიყო აშენებული აქ იყრიდნენ თავს ტყვეები ლენტულა ბატიოტისა, როდესაც ისინი გაიქცენენ თავის ბატონისაგან და მოახდინეს არეულობა, რომლის დროსაც დაიღვარა ბევრი სისხლი. ეს საქმე იყო სამოცდა-ცამეტს წელს ქრისტეს დაბადებამდის. ლენტულა ბატიოტს კაპუაში ჰყავდა მონები გლადიატორების გასაზრდელათ. ამათ აქმეედა და ასწავლიდა გიმნასტიკას ძალას მოსამატებლათ. ესენი ემზადებოდენ ცირკში წარმოსადგენათ. მაგრამ უმეტესი ნაწილი აქტიორებისა აღარ გამოდიოდენ ცოცხლები ცირკიდან, მაგრამ რასაკვირველია, გლადიატორები იყენენ ყოველთვის ტყვეები. ესენი არ იყენენ მაძრიელნი თავის ბედისა. ორასმა ტყვემ მისცეს ერთმანეთს პირობა, რომ რაიმე ნაირათ უშველონ თავიანთ თავს. ამათგან გამოჩნდენ ისეთი საძაგლები, რომელთაც გადასცეს ეს ანბავი თავის ბატონს. იმ მინუტში, როდესაც იმათი დაჭერა უნდოდათ, ოთხმოც-და-ათმა უფრო გამბედავმა გლადიატორებმა აიღეს იარაღი და გაიქცნენ ვეზუვზე ოოლკანის ყელში დასამალავათ. აქ ამათ გამოირჩიეს სამი უფროსი კაცი, იმათში ყველაზე უკეთესი იყო სპარტაკი. პირველად იმათ გამოიქცეს რამდენიმე რომის სახელმწიფო ჯარები, რომელნიც იყენენ იმათზე გამოგზავნილნი და აიღეს იმათი იარაღები, მერე აჯობეს აპპია კლავდის ჯარს. ამისთანა გამარჯვებამ ბევრს გლადიატორებს გაბედვინა ამათთან შეერთება; მალე შეიქნა ოთხმოცდა ათიდამ ათი-ათასი, და სამოც-და ათი-ათასზე მეტიც. ვეზუვიდამ სპარტაკის წინამძღოლობით გადავიდენ მთებში, გამარჯვებით გაიარეს მთელი იტალია, მდინარე პომდის და მერე წავიდენ სამხრეთით სიცილიისკენ და ყოველგან გამარჯვებული რჩებოდენ. მერე რამდენიმე ხნის განმავლობაში აღრეულე-

ბა იყო დაწყარებული, რადგანაც მოკლეს სპარტაკი და მასთან ორმოცი ათასი გლადიატორი. ამის მერმე გაეიდა ას ორმოც-დათი წელი და იტალიაში დიდი მიწის ძვრა მოხდა. მერმე ვეზუვიდამ ამოვარდენ მინდერები, ტყეები და სახლები; იმის მერმე ამოვარდენ იმდენი ქვები, ნაცარი და ფერფლი, რომ მზის სხივები დაფარა. მდიდარი ქალაქები, პომპეი, სტამბია, გერკულანი ადუღებულ მიწის (ლავის) ნაკადულმა დაიტანა და გაქრნენ მიწის ზურგიდამ. აი, როგორ სწერს ამ ამოქუხვაზე უმცროსი პლინი ტაციტს: «ბიძაჩემი იყო მიზენში გემების უფროსათ. 23 აგვისტოს, ნაშუადღეეს პირველ საათზე, დედა-ჩემმა უთხრა, რომ დიდი ღრუბელი მოსჩანს სხვა სახისაო; ის გათბა მზეზე, მიიღო ციცი ვანა, და წამოწოლილმა მიირთო საღილი, ამის მერმე გაატარა დრო საგნების სწავლაში. იმან მოითხოვა თავისი ფეხსაცმელები და ავიდა მაღლობ ალაგს, საიდამაც შეიძლებოდა ამ მოვლენის ყურება.

«რომელი გორიდამ ამოდიოდა ღრუბელი, შორიდამ იმის დანახვა არ შეიძლებოდა; მარტო შემდეგში შეიტყეს, რომ ვეზუვიდამ ამოდიოდა; ამ ღრუბელს ჰქონდა დიდი ცაცხვის სახე, ის იყო თეთრი, ზოგალაგას შავი ტალახიანი, თითქოს ლაქები დასხ�ეოა. «როგორც ნასწავლმა კაცმა პლინიმ მაქცია ყურადღება და ახლოს სანახავათ წასვლა მოინდომა, მეც მითხრა წამოდიო, მაგრამ მე ვურჩიე შინ დარჩენა და სხვა საქმის გაკეთება. იმან დამიტოვა მე ზოგი რამ დასაწერათ. როგორც რომ გამოვიდა სახლიდამ, მაშინვე მოუვიდა ბარათი რეტინიდამ, რომ ეშველა ხალხისთვინ. იმან დატოვა ამ მოვლენაზე სამეცნიერო შენიშვნები და მოეხმარა რეტინის მცხოვრებლებს და დაიფარა ისინი.

«იმან უბძანა სამხედრო ხომალდებს იალქნები გაეშალათ და მალე წასულიყვნენ კიდისკენ. თვითონ ჩაჯდა ერთ იმთგანში და დაიფარა რეტინს გარდა სხვა ზღვის პირის სოფლებიც, რადგანაც ხალხი გამოსხა, ხომალდებით. საიდამაც შეშინებული ხალხი მორბოდა, ის იქით მიდიოდა და არაფერი არ აბრკოლებდა იმას ოლონდ კი ვისმესთვის ეშველა. იმას შეეძლო დაეწერა ყველა საქმეები, რაც მოხდა ამ უბედურების დროს, რადგან ის ყოველგან იყო.

«ხომალდს ეყრებოდა ფერფლი და რაც უფრო უახლოვდებოდენ უფრო ცხელი ფერფლი ეყრებოდათ. უეცრად ხომალდი მოედო ქვიშას და დადგა, ისე რომ კიდეზე მისვლა არას გზით არ შეიძლებოდა. ის დაფიქრდა ერთ მინუტს, დავბრუნდე თუ არაო; მაგრამ შემდეგ უთხრა შტურმანს: «მამაცობას ბედი თან დასდევსო; წადი პომპონიანთან.» ეს უკანასკნელი იყო სტამბიაში, ზღვის უბის მეორე მხრით. ბიძა ჩემი მიეიდა უფროებელათ შეშინებულ პომპონიანთან. ანუგეშა და დაიმედა, რომ საშიში არაფერი არისო. «ამ დროს ვეზუვიდამ ამოდიოდა დიდი ალი, რომელ ც ღამეში კიდევ უფრო ანათებდა. რომ არ შეშინებოდათ, ბიძა ჩემმა უთხრა ხალხს, მცხოვრებლების სახლები იწვის და ეგ დიდი ალი იმისგან არისო: ისინი გაიქცენ და სახლებს თვითონვე წაუკიდეს ცეცხლიო. ამის მერმე ბიძა ჩემი შეეიდა ოთახში და დაიძინა, სახლის კარები თითქმის თავამდი აიმოხ პემზით და ნაცრით, შეიდნენ და გაღვიძეს: ცოტახანს რომ კიდევ დარჩენილიყო, გამოსელა აღარ შეიძლებოდა. იმათ არჩიეს კარში ყოფნა, ვინამც ოთახში, რადგანაც ეშინოდათ სახლის დანგრევისა. სხვა ალაგს გათენდა, მაგრამ აქ კიდეც ღამე იყო. ბიძა ჩემმა გააშლევინა შალი და წამოწვა. ცოტა ხანს იქით ის წამოდგა გოგირდის სულისაგან. ის მოჰყავდათ ორ მოსამსახურეს, მაგრამ უეცრად დაეცა და გოგირდის კომლმა დაახჩო. მესამე დღეს ნახეს მისი ტანი წაუმხდარი, ტანისამოსი ისევ ისე ეცვა და უფრო მიემსგავსებოდა მძინარს, ვინამ მკვდარსა.»

ამნაირად მოკვდა ძველად გამოჩენილი კაცი; მის მწერლობას, თუმცა ბევრი რამ აკლია, მაგრამ ბევრ შემთხვევაში ძალიან კარგია. ეს კაცი ფიქრობდა ქვეყნის აწერას.

თითონ უმცროსი პლინი ამბობს; რომ საქმის მერმე ეკამე ვახშამი და წაეედით დასაძინებლათო. მთელი ღამე ისმოდა მიწის ქვეშ გრგვინვა. შუა ღამეს შამოვარდა ჩემთან შეშინებული დედა ჩემი და ერთხელა დავიმალოთო ეზოში. მეორე დღეს შვიდ საათზე ამათ დატოვეს ქალაქი და წაეიდნენ. უეცრად, შუამ ღრუბელმა დაფარა ზღვის ნაპირი საოცარი ელვა იყო. ამ დროს პლინის დედა აფიცებდა, რომ იმას დაეტოვებია დედა და თვითონ გაქცეულიყო, მაინც დიდი ხნის სიცოცხლე არა მაქვსო და მე ნუგეშათ ის მეენებაო, რომ არ ეყავი ჩემი შვილის სიკვდილის მიზეზიო. მაგრამ პლინმა უთხრა იმას, რომ ის არასოდეს არ დაგდებს თავის დედას დასაღუპავათ და თუ დაიღუპები, მეც შენთა ვიქნებიო. ამ სიტყვების მერმე იმან წაავლო ხელი დედას და წაიყვანა თანა.

«ფერფლი სცვიოდა ჩვენზე, თუმცა ბევრი არა, ამბობს პლინი მე მიეიხედე უკან და დავინახე შავი კომლის ღრუბელი.

«ჩამოვიდეთ დიდი გზიდამ უთხარი დედა ჩემს, სანამ ეხედავთ რამეს, რადგან შეიძლება, რომ გაგეყლეტონ იმათ, რომელნიც ჩვენს უკან მოდიანო.» როგორც, ჩამოვედით დიდი გზიდამ მაშინვე დადგა იმისთანა სიბნელე, რომ ვერაფერს ვეღარ ეხედავდით. ისმოდა ქალების და ყმაწვილების ტირილი, კაცები ყვიროდენ. ზოგნი უძახოდა მამას, ზოგნი დედას, ზოგნი შვილს, ზოგნი ქმარს და ზოგნი ცოლს. ბევრნი ეხვეწებოდნენ ღმერთებს, რომ მალე გაეთავებინა იმათი სიცოცხლე. ზოგიერთნი ფიქრობდნენ ღმერთები აღარ არისო, ეს ღამე უკანასკნელი და სამუდამო ღამეაო».

გამოჩნდა სინათლე მიწის ნადუღისაგან, მაგრამ ცოტა ხანს იქით ისევ დადგა სიბნელე. ფერფლი ეყრებოდა ხალხს და ისე ამძიმებდა, რომ პლინი და სხვები სჩერდებოდნენ, იბერტყდენ ტანისამოსს და მერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისევ გზას ადგებოდენ. ცოტა ხანს იქით გამოჩნდა შუქ-მოკლებული ყვითელი მზე.

როდესაც გათავდა ეს საოცარი ამბავი, უწინდელი მშვენიერი ალაგები და შეერობები ლაავს და ფერფლს დაეტანა. იმათ ალაგას პატარა გორები გაკეთებულიყვენენ. წარსულ საუკუნეში შეუდგენ იმ ალაგების თხრას; თუმცა იმ დროდამ დაწყებული აქამდის ბევრი არ არის ამოთხრილი, მაგრამ ბევრი სწავლულები ამტკიცებენ, რომ პომპეი ერთიანათ არ არის დაფარული და თან და თან დამალულა, ისე რომ მცხოვრებლებს შეეძლოთ თავიანთი თავის და ძვირფასი ნივთების დაცვა, ამას ამტკიცებენ კაცის ჩონჩხები და ფული.

ეხლა პომპეის ქუჩებზე დაიარებიან. აქ არის ტროტუარები და დარჩენილა ქუჩებზე ეტლის კვალები.

ყველა ეს ქალაქები იყვენ დატანილნი ლაავისაგან: როდესაც თხრიან მიწას, ხედავენ ლაავას შეერეულს შავ მიწასთან, რომელშიდაც არის დარჩენილი მცენარეების კვალი; ამიტომ ფიქრობენ რომ ამ ალაგებზე რომლების წინათ სულ ძველის ძველათ სცხოვრობდენ კიდევ სხვა ტომის ხალხი, რომელსაც თვითონ რომაელებიც ვერ იცნობდენ. მერე ისინი ვეზუვის ლაავას დაუტანია შემდეგ დაკეთებულა მინდერები და რომაელებს ზედ გაუშენებიათ მშვენიერი ქალაქები. მაშასადამე ამალაგას ბევრჯერ მომხდარა ამისთანა საშიშო მოვლენა ბერძნებისა და რომაელების მოსვლამდის: ასე უნდა ვიფიქროთ რადგან ახლა რომ მეცნიერები თხრიან ძველ პომპეის ქალაქს ძირში მიწას, იქიდგან იღებენ კაცის ჩონჩხებს და იმათ ნახელავს ნივთებს: ისინი არ გვანან ძველ რომაულებს და იმათზე რომაელებისა და ბერძნის მეცნიერებს არც კი გაუგონიათ არაფერი.

ვოლკანიდამ ამოქუხვილს ლაავზე არის აშენებული მშვენიერი სახლები. ამათ გარშემო არის მშვენიერი ბაღები ამ მიწის ქვეშ არის ნამარხული მშვენიერი ქალაქები, ამათზე უკეთესი, რომელთაც ეხლა სიამოვნებით უცქერენ: პორტიჩი სძევს გერკულანზე, იმის გარემო ალაგები გაშლილია ძველს რეტინაზე; ეს ალაგი პომპეოსის მოშორებით ყოფილა. იმას ეხლა ხდიან მიწის სუდარს, რომელიც ზედ ედვა თვრამეტი საუკუნე.

ამ ამბავიდამ დაწყებული აქამდის ვეზუვი ითვლება მომქმედ ვოლკანად, თუმცა ბევრჯერ დაწყნარებულა რამოდენიმე წელიწადი. ერთხელ ას ოცდათი წელი იყო დაწყნარებული, 1500 წლიდამ 1641 მდე. ამ დროს განმავალობაში მის ყელში ამოვიდნენ მცენარეები და დიდრონი ხეები. ამ ყელში, რომლიდამაც უწინ ამოდიოდა ცეცხლი, იმ დროს პირუტყვის ჯოგი სძოვდა ბალახს და კაცი სჭრიდა ხეებს; მაგრამ 1640 წლის ბოლოს ვოლკანმა გამოიჩინა ისევთავისი ძალა და მას აქეთ თითქმის მუდამ კოშლი და მიწის ნადუღი ამოდის.

საქართველო

(«დროების» კორრესპონდენტები)

თუქურმიშა (ბელი კლიუჩ), აგვისტოს Ხ-ს

ჩემს კორრესპონდენციაში ხირსიდგანა მე ეს წერდი, რომ, თუმცა პური და ღვინო არ მოუვიდათ ქიზიყელებსა, მაგრამ ფეტვისა, სიმინდისა და საქონელისათვის შემოდგომის ბალახისა კი ძრიელ კარგი იმედი აქვსთ, მეთქი. მაგრამ, საუბედუროთ ამაე ქიზიყელებისა, ეს იმედიც ჩაეშალათ და ესრეთ ბედი უკუღმა დაუტრიალდათ; ესენი დარჩენ ყველაფერით ცარიელ-ტარიელნი, როგორც აქაურები ამბობენ ხოლმე უქონელ კაცზედ. მათ არა აქვსთ პური, არა აქვსთ ღვინო, არა აქვსთ სიმინდი, არა აქვსთ ფეტვი, არა აქვსთ ქერი, ლობიო, მუხუდო სამარხო; იფიქრეთ, არა აქვსთ არც ბალახი, რომ საქონელი მაინც არის გამოკვებონ შემოდგომამდისინა, და აბა ახლა მოდი და შენ გამოუჩინე, ჩემო მკითხველო, მათ საქმე, თუ რა უნდა ჰქნან. იფიქრეთ, სამუშაოც აღარა აქვსთ რა, რომ ამით მაინც არის როგორმე პური შეეჭამონ? ესრეთ არიან ჩვენი ქიზიყელები შეწუხებულნი. აი დასამტკიცებელი საბუთნიცა:

3-ს ამა აგვისტოს მე გავემგზავრე სიღნაღიდგან თუქურმიშისკენა. გზა ძეს ჩრდილოეთიდგან სამხრეთისკენ, ოც დაათს ვერსზედ. მე ამოვედი მაღაროში და მივიარ ცხენითა და აი რას ეხედავ ორმოც ნაბიჯზედ: სამი ვითომც ყმაწვილი ბიჭები მუცელზედ კოტრიალობენ; მე მეგონა, მუცელი სტკივათ და რადგან მშველელი აღარავინა ჰყავსთ, მუცელზედ ცურავენ მეტის-მეტის სიმწარისაგან მეთქი. მე გავეშურე მათკენ საშველათა და აი რას ეხედავ: ეხედავ, რომ ერთი კაცი თავის ორის შვილითა, რომელთაც გვერდზედ უბიათ ვირი და თან უწყვიათ საცალოები, კბილებით გლეჯენ ფეტესა, რომელსაც არა აქვსთ ერთი ციდა სიგრძე; ეხედავ, რომ ესენი ამ დაგლეჯილ ფეტეს, რომელთაგანსაც ზოგ ზოგიერთს რამდენიმე მარცვალი აქეს პატარა, მზიდგან შეეხუწულს თავ-თავშია, აწყობენ საცალოში რომ აკიდონ ვირსა და ისე წაიღონ სახლში, ვინიცის, დასაბეგვეთა თუ საქონლის საჭმელათა. ფეტესა, რომელიც დღიურში გამოვა ოცს მელეურამდისინა და რომელსაც ურემს უდებენ არა მომეტებულ ოთხის მელეურისა—ორმოცდა ოთხის ძნისას (მელეური თერთმეტი ძნაა, რომ ურემი არ გატეხოს, ახლა ეს გლეხის ოჯახობა ჰკიდებს ვირსა და ისე ეზიდება საცალოებით სახლშია! და ესეც იქნება რომ დღიური სამ ვირის საპალნეთაც მიიტანოს შინა. აბა მოდი დაამის შემდეგ გაამტყუნე ეს გლეხი, როდესაც ის თვეში თუმანში ერთს მანეთს სარგებელსა აძლევს. მაშ რა ჰქნას? სამემრისოთ ვინ რა იცის, თუ რა იქნება? გლეხი ცდილობს, რომ ის წლეულ დარჩეს ცოცხალი, რომ ეგებ ერთი წელიწადი მაინც კიდე უყუროს იმან თავის ცოლ-შვილს, და სამემრისოთ გინდა ცოცხალიც გაატყაონ, მას აღარა ენაღვლება რა. მაგრამ აესწერ ისევ, რაც გზაზედ ენახე. აი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაეედით ბოდბის ტყეშია დარას ვხედავთ? ამა შეხედეთ პანტასა, რა ნაირ მომჭკნარა მისი ფოთლები, შეხედეთ ცაცხვსა, თუ მას ყვავილიდა აქვს რამე,—შეხედეთ მუხასა, თუ რა ნაირ დაყეთლებია მას ფოთლები და ჩამოდის ძირს შრიალითა, შეხედეთ ნაკერჩხალსა, თუ რა ნაირ მოხარშვია მას ფოთლები და თვით ხეც რანაირ დაკლაკნულა,—და კიდე რამდენ სხვა და სხვა ხეს, რამდენ ნაირ მოქცეია პირი! რა სიჩუმეა? ფოთლის შრიალის მეტი აღარა ისმის რა. სად არიან ჩვენი გულის გამამხიარულებელნი ფრინველები? რატომ მათი ხმა არ ისმის? განა იმათაც დასცხათ? განა მათაც მოაკლდათ ცის ნამი? იქნება მათაც მოშიდათ და დარბიან სარჩოს საშოვნელათა? იქნება ისინიც თან გადაყვათ ქიზიყელებს კახეთში, ჭარში, საინგილოში, ნუხში, ჯაფარაბადში და განჯაში, მათთან ერთათ პურის საშოვნელათა? აღარ ისმის ჭრიალი საძნე ურმებისა და აღარ დამღერის ქიზიყელი მეურმე თავის საქონელსა, საძნე ურემზედა?

ერთის სიტყვით, ყველა გაქცეულა, ყველა შემოსწყრომია ქიზიყელს კაცსა—აღარ მოჩქიფარებს წყაროები თავის ჩვეულებრიკის ჩხრიალითა! მათაც მოჰკლებია თავის გამამშფოთებელი წვიმა.

თუქურიმაც აღარ ხარობს უწინდებულათ: აქ დასახლებული რუსები შეყურეენ მარტო მგზავრსა, თუ ეგებ გამოჩნდეს ვინმე, რომ ოცდათის ვერსზედ ორ მანეთათ სამი ცხენიანის ტროიკით სიხარულით მიიყვანონ და მოიყვანონ. ეს ენიც გაქცეულან გალმა მხარშია; ამითაც გაურეკნიათ თავისი ცხენები და ხარები ლაგოდეხში, მიხეილოვკაში ყანის სალეწავათ მარტო ბზეზედა, რომ ეგებ საქონლის სარჩო მაინცარის შეინახონ წლის სამყოფი. ეს სურათი ვის არ შეაწუხებს, ვის არ დაიფიქრებს მომავალ ქიზიყის მდგომარეობაზედ? არც დღემდი იყვნენ ისინი სანატრელ მდგომარეობაში, მაგრამ შემდეგში უარესი მოელისთ...

ხარსელი.

შორაპნის მაზრა, აგვისტოს 6 სა

ამას წინათ მე დავბეჭდე «დროებისა»-მეითხველებს ჩემურ შინაურ მასწავლებლებზე მოწერა. ესლა გვსურს ამ დაბეჭდვასა. ერთი ამ.ხოანა მასწავლებელი არის სოფელს ი—ში და მეორე კ—ში. ამ სოფლებში აზნაურები ბევრნი არიან და კარგა შეძლებულნიც სცხოვრენენ. ი—

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ ამსაურებს ეს მასწავლებელი ძალიერ მოსწონთ. ბევრს უთქამს ხოლმე ჩემთვის, ეს მასწავლებელი იმით სჯობია სხვებსო, რომ ბერ-და-ბერ რუსულადამ იწყებს სწავლებასო და ითავსაც გვაჯდებაო. ქართული რათ უნდათ, ქართულს ხომ შინაც ისწავლიანო! სადაც უმაწვილის ალფარდზე ამისთანა ამრისა ვრიან და სადაც ბავშვები ამისთანა მასწავლებლების ხელშია—იქ რა ხეირი უნდა გამოვიდეს და როგორ უნდა განთლდეს ხალხი?!

ამისთანა მასწავლებელზე, რასაკვირველია, არა ღირს ალაპარაკოს კაცმა, მაგრამ, თუ მიუღებთ მსედველობაში იმას, რამოდენის ნიში და მამავალი ბედი ითხრება ძირში მათი სწავლით, მაშინ ცხადათ დავინახავთ, რომ ეს საკანი ღირსია სრული ყურადღებისა.

შ—ნელი.

სოფ. ეკირიდან.

სამართლის განმარტება.

ნაწილი პირველი:

სისხლის სამართალი, რომელიც ეკუთვნის მომრიგებელ მოსამართლებს (მიროვოი სუდიას).

მომრიგებელ მოსამართლეს (მიროვოი სუდიას) შეუძლიან განუწესოს შემდეგი საჯელნი:

1. შენიშვნა, შეგონება.
2. ფულის გადახდევინება ას მანეთამდის ყოველის ფრის ხარჯითურთ.
3. დატუსაღება სამ დღემდის.

ამ სასჯელებს განაწესებს დაბოლოებითად.

4. საპყრობილეში დატუსაღება.

ზოგიერთს შეიძლება ეჩვენოს ეს სასჯელები უბრალოთ. ამ სასჯელებს განამწესებს მომრიგებელი მოსამართლე (მიროვოი სუდი). დაბოლოებითათ, ესე იგი მას შეუძლიან განჩინების წაკითხვისა თანავე მოიყვანოს სისრულეში. მას აქვს ნება, რომ განუწესოს ბევრით უმაღლესი სასჯელი. თუ რომ დასჯილი არი განაცხადებს უკმაყოფილებას, საქმე გადიტანება ოლქის სასამართლოში (ოკრუჟნოი სუდში) და იქ განხილვის შემდეგ, თუ იცნეს მართლათ მომრიგებელი მოსამართლეს განჩინება, მაშინ დამტკიცდება და აღსრულებაში მოიყვანება.

1. შენიშვნა და შეგონება მართალია არ არის მძიმე სასჯელი, მაგრამ რაც უნდა იყოს საჯელია, ამიტომ რომ ეს შენიშვნა გამოეცხადება დამნაშავეს მიროვოის სუდში, სადაც ყოველთვის მრავალი ხალხი არიან, და დამნაშავე თავის სინიდისმა არ შეაწუხოს არ იქნება.

2. ფულის გადახდა ას მანეთამდის და უმეტესიც ძალიან სამძიმო არის გლეხისათვის. წარმოიდგინეთ რამდენი მუშაობა უმართავს. გლეხს რომ ეს ფულები მოიგოს. და ამოდენა მისი შრომა რაიმე შეცდომისათვის უნდა დაეკარგოს. უკეთესი არ არის რომ მოერიდოს შეცდომას და ეს ფულები მოახმაროს თავის ცოლ-შვილს და ან შესძინოს თავის ოჯახს.

3. დატუსაღება სამის დღის და უმეტესის რამოდენიმე თვემდის, არის დიდი სასჯელი, ერთი იმითი რომ დასჯილი კაცი არის შერცხვენილი თავის მეზობლებთან, რომელთაც ყოველთვის სახეში ჰყავთ როგორც ცუდი კაცი, მეორე იმითი რომ ამოდენს ხანს მოცილებული არის თავის ცოლ-შვილს და ოჯახობას, მესამეთ, ციკლებულია მუშაობაზე. რომლითაც შეიძლება ცოლ-შვილი მშიერები დაურჩეს, მეოთხეთ მას თავისუფლება წართმეული აქვს და ჰყავთ დამწყვდეული იმითანა ადგილში, სადაც შეიძლება მან თავისი სიმრთელე დაჰკარგოს. ყოველი ესენი რომ კარგათ განვაზვრიოთ დიდი სასჯელი არის. შესანიშნავი არის, რომ ეს სასჯელი შეიძლება მიადგეს კაცს, უბრალო შეცთომისათვის, რომელიც წარმოსდგება ან სურვილისაგან რომ ცოტა რამე სარგებლობა მიიღოს უშრომელად, და ან წინ-დაუხედაობით ეისმეს რამე აწყენინა.

ბევრი იფიქრებს, რომ არ ვიცოდი კანონი, თორემ ამ დანაშაულობას არ მოეახდენდიო. ყველამ უნდა იცოდეს რომ კანონში ნაბძანებია: არავის არ შეუძლია ანთავი გაიმართლოს კანონის უცოდინარეობით. ამიტომ გვმართებს ყველას სიფრთხილე რომ არ შეეხოთ როგორც სხვის საკუთრებას, ისე სხვის პატივს, თორემ შეიძლება ისეთი სასჯელი მოგვედგეს, რომელსაც არ ველოდით. ბოლოს შეიძლება კიდეც ვინანოთ, მაგრამ გვიან იქნება: კანონი თავისას აღასრულებს.

ახლა გავშინჯოთ ზოგიერთი დანაშაულობა, რომელთაც განიხილამს მომრიგებელი მოსამართლე (მიროვოი სუდია) და დამნაშავეს განუწესებს სასჯელს.

1. (35) *) უკეთუ ვინმე ყვირილით, ანუ სხვა რაიმე ურიგო ქცევით მოახდენს ურიგობას და დაარღვევს სიმშვიდეს ეკკლესიაში და სხვა სალოცავ ადგილზე, მაგრამ არ შეეხება სიწმინდეს, ის დაისჯება.

დატუსაღებით ერთ თვემდის, ანუ ასს მანეთამდის გადახდით.

მართლათაც, ერთი კაცის ურიგო ქცევამ რომ დაუკარგოს სასოება სხვა მლოცველებს და შებღალოს ეკკლესიური წესი, უნდა უეჭველათ დაისაჯოს.

2. (38 ვინც საზოგადო ადგილზე მოახდენს ჩხუბს, მუშტით ცემასა, ანუ სხვა რაიმე ურიგო ქცევას, რომელითაც დაირღვევა საზოგადო სიმშვიდე; ის დაისჯება:

შვიდ დღემდის დატუსაღებით, ანუ გადახდით ოც-და-ხუთ მანეთამდის.

3. (42) იგივე სასჯელი შეეცემა იმას, რომელიც უკიდურეს სიმთვრალეში მყოფი გამოვა სახალხო-საზოგადო ადგილზე.

4. (49) ვინც სამოწყალოს თხოულობს სიზარმაცის, ანუ უსაქმობის მოყვარულობის გამო; ის დაისჯება.:

დატუსაღებით ორი კვირიდგან ერთ თვემდის.

მართლათაც, ბევრი არიან იმისთანეები, რომ დაღოლაენ და მოწყალებას თხოულობ-

---

*) ეს ციფრები ნიშნავს იმ ციფრებს, რომელნიც უზიან სტატიებს შიგ კანონში.

ბენ, როდესაც თეითონ კარგათ შეუძლიან მუშაობა და თავის შრომით საზდოს მოპოება.

5. (51) ვინც ათხოვნინებს მოწყალებას ყმაწვილებს, ანუ მშობლები, ანუ სხვა პირნი, რომელთაც მასზედ უნდა ჰქონდეთ მზრუნველობა; ესენი დაისჯებიან:

დატუსაღებით თუთხმეტ დღემდის, ანუ ორმოც და-ათის მანეთის გადახდით. (ეს დიდი ბოროტებაა, ამიტომ რომ ყმაწვილი თავ ეიდამეე ეჩვეა რომ უშრომელათ იშოვნოს საზდო; და როცა გაიზდება და ამ გვარათ ეელარ იშოვნის საზრდოს, მაშინ ის შეიქნება ანუ ქურდი და კაცის მკველი და ანუ შიმშილით უნდა მოკვდეს, რადგანაც შრომა არ იცის და უშრომელათ არაევინ არასფერს არ მისცემს.

---

6. (103) როდესაც ერთი მეორეს შეჰყრის ცუდს გადამდებს ავათ-მყოფობას, დამნაშავე დაისჯება:

დატუსაღებით ორ თვემდის, ანუ ორასის მანეთის გადახდით.

7. (104) ის პირნი, რომელთაც არა აქვსთ აქიმობის ნება და აქიმობენ სარგებლობის გულისათვის, და ამ აქიმობისაგან რაიმე ვნება წარმოსდგება, დამნაშაეე დაისჯება:

დატუსაღებით სამს თვემდის ანუ სამასის მანეთის გადახდით.

შეიძლება უცოდინარობით ისეთი წამალი მისცეს კაცმა ავათ-მყოფს, რომელიც ან მოჰკლამს და ან დაასნეულებს საუკუნოთ.

ეს დიდი შეცდომა არის და სასჯელიც შესაფერი აქვს.

8. (105) ვინც უპრის ყვავილს მართებლობის ნება მიუცემლათ და ამ აცრით წარმოსდგება რამე ვნება, დამნაშაეე დაისჯება გადახდით სამას მანეთამდის.

უცოდინარი კაცისაგან ყვავილის აცრა ამიტომ არის საშიშარი, რომ ვინ იცის როგორ ჩირქს უპრის, ეგება ეს ჩირქი ყვავილის არ არის და ათაშანგისაა. მაშინ ამ აცრით დამართებს კაცს საშიშარს ავათ-მყოფობას.

9. (106) ვინც იმზადებს წამლებს გასასყიდათ და კიდეც ჰყიდის მართებლობის ნება მიუცემლათ, და როდესაც აქედან რაიმე ვნება წარმოსდგება; მაშინ წაერთმეცა წამლები და ჭურჭელი სასარგებლოთ დარიბებისა და დაისჯება:

გადახდით ასის მანეთისა.

10. (108) ვინც ამოიღებს კედარს საფლავიდან, რომ გადაიტანოს სხვა ადგილზე, ნება მიუცემლათ, ის დაისჯება:

გადახდით ასს მანეთამდის.

11. (111) ვინც გააფუჭებს სასმელს წყალს იმით რომ ჩაჰყრის შიგ სხვა და სხვა ცუდს და საენებელს ნივთეულებას, კიდეც რომ არ ჰქონდეს სახეში საზოგადო ვნება; ის დაისჯება.

შვიდის დღის დატუსაღებით, და ანუ ოცდა-ხუთის მანეთის გადახდით.

ეს კანონი გვასწაელის თუ როგორი სიფთხილე გემართებს ყოველს შემთხვევაში და განსაკუთრებით იმაში, სადაც კაცის სიმრთელეს ვნება მიეცემა. ეგება ვინმემ არ იხმარა სიფთხილე, და ჩაყარა წყალში რამე საენებელი, ან საწამლავი ნივთეულება, ის წყალი დალია ვინმემ და მოიწამლა; რასაკვირველია რომ დაუდევნელობისათვის უნდა დაისაჯოს.

12. (112) როდესაც გაჩნდება საქონლის ჭირი და არ აცნობებენ მართებლობას და ან არ მიიღებენ დაწესებულ ზომებს, რომ არ გაჩნდეს, ეს ჭირი, დამნაშაეე დაისჯება:

დატუსაღებით ერთს თვემდის, ან ას მანეთამდის გადახდით.

ვისმეს ოჯახში გამოაჩნდა საქონელს ჭირი, ამან არავის შეატყობინა, რომ სხვებმა იპატიეონ თავისი პირუტყვი ან მოელით ან მოგელით ან წამლობით, დაერია მთელ სოფლის პირუტყეს ჭირი და გაწყდა. წარმოიდგინეთ რამოდენი ვნებაა? ეგება იმას რომ დროზე გაემყღანებინა, სხვებს რაიმე საშუალებით ეპატიებინათ თავისი პირუტყვი.

13. (115) ვინც რომ ამზადებს ბოსტანა საუმელს ანუ სასმელს, რომელნიც საენებელნი არიან კაცისათვის, ანუ ვინც აკეთებს ჭურჭელს იმ მასალიდგან, რომელიც კაცისათვის საენებელია; გარდა ამისა რომ ესენი ყველაფერი წაერთმეცა, დასჯება:

დატუსაღებით ერთ თვემდის, ანუ გადახდით ასს მანეთამდის.

14. (118) ვისაც დაეაქვს გატენილი, და არ ხმარულობს სიფრთხილეს, ის დაისჯება:

გადახდით ათ მანეთამდის.

ხშირათ მოგხდარა, რომ კაცს სიფრთხილე არ უხმარია, გატენილი თოფი ანუ ტანჩაჩა გეეარდნია და კაცი მოუკლამს, ან მძიმეთ დაუჭრია. მართალია იარაღის პატრონს არ სურეებია რომ კაცი მოეკლა ანუ დაეჭრა, მაგრამ სიფრთხილე არ იხმარა და ესენი ყველა იმიტომ მოხდა.

15. (20) ვინც არ ხმარულობს სიფრთხილეს რომ შინაურმა მხეცებმა არავის ენება არ მისცეს, ამ მხეცების პატრონი დაისჯება გადახდით ათ მანეთამდის.

16. (129) ვინც რომ რაი მოქმედებით, რომელნიც კანონში არ არიან მოხსენებული, სიფრთხილის უქონლობის გამო, მისცემს კაცს ჭრილობას, ანუ რაიმე ვნებას მისს კარგა მყოფობას, როდესაც ამ მოქმედებიდგან სიკვდილი არ წარმამდგარა, ის დაისჯება:

დატუსაღებით შვიდს დღემდის ანუ გადახდით ოც-და-ხუთ მანეთამდის.

ამ გვარის სჯულის დებულება გვაჩვენებს ჩვენ თუ როგორი სიფთხილე უნდა გექონდეს ყოველს საქმეში, რომ ჩვენის გაუფრთხილებლობით არავის სხვას ვნება არ მიეცეს.

(შემდეგში იქნება)

გამოვიდა და ისყიდება ქართულად

ანბანი

ახალი გამოცემა

შედგენილი ი. გოგებაშვილისაგან.

Дозволено цензурою Тифлисъ 30 Августа 1872 г. გ. წერეთლის და ამხ. (დუბლირის. სტამბა. რედ.და გამომცემელი გ. წერეთელი.